# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა. — ოთხშაბათი, 19 ივლისი 1900 წ. № 1185

**გაზეთის დირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.

მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგი, არჩილი და ლუკა ბახტაძენი აუწყებენ ნათესავეთ და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

**ილია ლუკას ძის ბახტაძის**

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ, დაბა ხონში. პანაშვიდი ყოველ-დღე, სადამოს 7 საათზედ. (რ.—4)

**ილია ლუკას ძის ბახტაძის**

მეგობართა და პატივის-მცემელთ აუწყებენ, რომ ოთხშაბათს, 19 ივლისს, დილის 12 საათზედ, განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

(რ. 2—2.)

## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე"

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის" ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе".

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**17 ივლისი**

**რომი.** იტალიის მეფის მკვლელობის შესახებ ცოტაა დაწვრილებითი ცნობანი. მკვლელის გვარი არ იყო საშიშ ანარხისტთა სიაში. ტახტის მემკვიდრე, ახალი მეფე იტალიისა ვიქტორ ემმანუილ მე-III, მეუღლითურთ ამ ჟამად გემით მოგზაურობს აღმოსავლეთისაკენ. ამბობენ, რომ, თანახმად კონსტიტუციის კანონებისა, თუ მეფე 48 საათზე მეტ ხანს დარჩება საზღვარ-გარეთ, უნდა იზრუნონ რეგენტის დანიშვნაზე. პარლამენტი დაუყოვნებლივ შეიკრიბება ფიცის მისაღებად. გუმბერტის გვამს მოასვენებენ რომში და დაკრძალავენ პანტეონში.

**პარიზი.** ლუბემ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა მეფე ვიქტორ ემმანუილს.

**ბერლინი.** ტიანცზინში მყოფმა გერმანიის კონსულმა მიიღო პეკინიდან 9 ივლისს გამოგზავნილი წერილი გერმანიის საელჩოს მდივნისა. „მადლობელი ვარ 6 ივლისს გამოგზავნილი ცნობისათვის. კორდესი კარგ მდგომარეობაშია. საელჩოს დანარჩენი წევრნი კარგად არიან; რაზმს მოუკლეს 10 და დაუჭრეს ოთხი. ზარბაზნებისაგან ძლიერ დაშავებულია საელჩოს სახლები.

3 ივლისიდან ჩინელებმა შესწყვიტეს ჩვენთან ბრძოლა; აუცილებლად საჭიროა მალე გამოიგზავნოს დამხსნელი ჯარი. ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, რომ კეტტელერის გვამი აღმოუჩენია ჩინეთის მმართველობას.

**კაპშტადტი.** პრინსლო 5,000 ბური დაჰნებდნენ ინგლისელებს ფურიესბურგთან.

**ბერლინი.** ჩიფუდან კონსული იწერება დეპეშით 14 ივლისს, შანდუნის გუბერნატორმა შემატყობინაო, რომ მას გაუგზავნია პეკინში 9 ივლისს კონსულის დეპეშა. შემდეგ აქაურ კონსულებს სწერს დეპეშას, რომ გერმანიის ელჩის გარდა, ყველა ელჩნი უვნებლად არიან და 11 ივლისს გამოცხადებული იმპერატორის ბრძანებით სანოვაგეც მიეცათ. მესამე დეპეშით გუბერნატორი აუწყებს კონსულებს, რომ პეკინში გაეგზავნათ ელჩებს დეპეშები, რომლებიც გაგზავნილი იყო ტაკუდან ადმირალების მიერ. ამ დეპეშებით ჰსთხოვენ ელჩებს განსაკუთრებული შიკრიკებით გაგზავნონ ცნობები. ჩინეთის წყაროებიდან სჩანს, რომ ტუნფუცზიანის ჯარი 25 ივნისს თავს დაესხა ინგლისის საელჩოს. ჩინელები უკუქცეულ იქმნენ. პრინცი ჩჟინის ჯარი ებრძვის ტუნფუნცზიანს. ახლა ევროპიელთა თავშესაფარად არის პეიტანის სობორო, რომელიც იმპერატორის სასახლის გვერდით არის; თვით სასახლესაც გარშემორტყმიან მეამბოხენი. განადგურებულ პეკინის ძველ ნაწილს გარშემორტყმია დიდძალი მომხრე „დიდი მუშტისა" და საიმპერატორო ჯარისა.

**მონცა.** მეფის მკვლელმა სთქვა, რომ მას ჰქვიან გაეტანო ბრესსი, დაიბადა 1869 წ. პრატოში. ხელობით ფეიქარია. შემდეგ დაუმატა, რომ იგი ანარქისტია, მოვიდა ამერიკიდან და მოჰკლა მეფე იმიტომ, რომ ჰსძაგს მონარქნიული წეს-წყობილობა. 27 ივლისს მოვიდა მონცაში მილანიდან.

**ვაშინგტონი.** შანჰაიდან იტყობინებიან, რომ ლიხუნ-ჩანგს მოსვლია მთავრობისაგან განცხადება, რომლით ჩინეთის მთავრობა ალიარებს თავის განზრახვას—მშვიდობად დასტოვოს პეკინში უცხოელი ელჩები. ლიხუნ-ჩანგს ებრძანა მივიდეს პეკინში, რათა მიიღოს სარდლობა ჩინეთის ჯარისა.

**ჩიფუ**, 14 ივლისს. იაპონიის კონსულმა ტიანცზინში გაგზავნა პეკინში 2 ივლისს შიკრიკი, რომელიც 6 ივლისს უკანვე დაბრუნდა პეკინიდან. იაპონიის ელჩისაგან შემდეგი დეპეშა მოიტანა: „ჩვენ მამაცად ვიგერიებთ ჩინელებს. ისინი აღარ გვებრძვიან ახლა. ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ თვის დამლევამდე გავმაგრდეთ, თუმცა ძალიან გაგვიძნელდება".

## ოფიციალური და სხვა ცნობები ჩინეთში არეულობის შესახებ

ჩინეთის იმპერატორის წერილი იაპონიის იმპერატორთან: «მაშინ, როდესაც ჩვენ იმპერიას მეგობრული განწყობილება ჰქონდა თქვენი დიდებულების სახელმწიფოსთან, თქვენი დიდებულების საელჩოს მდივანს თავს დაესხნენ და მოჰკლეს. დიდათ შეწუხებულნი ამ გარემოებით, ჩვენ ვუბრძანეთ დამნაშავის დაჭერა და დასჯა. ამასობაში უცხოეთის სახელმწიფოებმა იერიშით აიღეს ტაკუ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ჩვენ ხელს ვუწყობდით ჩვენ ქრისტიანე და არა ქრისტიანე ქვეშევრდომთა შორის მომხდარ შეტაკებას. ამის შემდეგ ჩვენი და უცხოელების დამოკიდებულება თანდათან უფრო ხირივდაირია.

დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანერთის მტერია. თქვენი დიდებულებისა და ჩვენი სახელმწიფოები აღმოსავლეთის ბატონები არიან. დასავლეთის ხარბი თვალი მარტო ჩინეთს როდი შესცქერის; თუ ჩინეთმა ვერ შესძლო დამოუკიდებლობის დაცვა, ჩვენ ვშიშობთ, რომ თქვენი დიდებულების სახელმწიფოც ვერ შესძლებს უცხოელების მოგერებას. თქვენი და ჩვენი სახელმწიფოების ინტერესები მჭიდროდ არიან ერთმანეთზე დაკავშირებულნი და ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი დიდებულება დაივიწყებს მეორე ხარისხოვან გარემოებებს და შემოგვიერთდება ჩვენ საერთო ინტერესების დასაცველად. ჩინეთი ეხლა იმდენად გარეთულია აჯანყების წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებით, რომ მას არ შეუძლიან გარეშე საფრთხეს გაუმკლავდეს და უცხოელებთან საქმე მოაგვაროს. ამიტომ ჩვენ იმედოვნებნი ვართ მივმართოთ იმ სახელმწიფოს დახმარებას, რომელიც, როგორც ჩინეთი, აზიის ნაწილია. მოგ-

მართავთ თქვენ გულწრფელად და სრულის ნდობით და გთხოვთ მიიღოთ ღონისძიებანი, თქვენი სურვილისამებრ, თქვენი დიდებულების ძლიერი ხელმძღვანელობით ჩვენს იმპერიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად.

იაპონიის იმპერატორის პასუხი, როგორც მკითხველებმა იციან, ის იყო, რომ ელჩების პეკინიდან განთავისუფლებამდე მას არ შეუძლიან მიიღოს თავის თავზე შუამდგომლობა ჩინეთსა და ევროპიელებს შორის.

» კულჯისა და ჩუგუჩაკის კონსულები დეპეშით იტყობინებიან, რომ ილის გუბერნატორს კულჯაში შესვლის ნება მიეცა ყაზახთა რაზმისათვის (200 კაცი), რომელნიც უნდა შეუერთდნენ კულჯის კონსულის მცველ რაზმს.

« ტაკუში მოვიდა 400 ამერიკელი ჯარის-კაცი და მაშინვე ტიანძინისაკენ წავიდა; აქვე მოელიან საფრანგეთის ჯარის რაზმს.

როგორც მოსულ ცნობებიდან სჩანს, ქალაქ კანტონში ჯერ მშვიდობიანობა არ დარღვეულა, თუმცა სამხრეთ ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში აჯანყებულთა მოძრაობა თანდათან იკიდებს ფეხს. პეკინსა და ნანკინს შუა ტელეგრაფი მოქმედობს; ასე რომ პეკინს, ნანკინს და შანჰაის შორის ყოველ დღე მიწერ-მოწერა აქვთ. შანჰაიში მყოფი უცხოელები ბრალს სდებენ ნანკინის მმართველს, რომ მან, კითომდა უცხოელების მეგობარმა, 20 ათასი ჯარი გაუგზავნა ხუბეიდან პეკინის აჯანყებულებს. შანჰაის უცხოელებს გაუგიათ, რომ შუა ჩინეთის ბევრ ქალაქებში ჯარებს ავარჯიშებენ და საომრად ამზადებენ.

« რადგანაც ჩინელებს საგრძნობელი ზარალი მოუვიდათ ბლაგოვეშჩენსკთან, თავი დაანებეს რუსების რაზმების წინააღმდეგ მოქმედებას. ცნობები მოვიდა, რომ ჩინელები უკან მიდიან და იკრიბებიან მერგენთან. ფიქრობენ, რომ 20 ივლისიდან გემებს თავისუფლად შეეძლებათ ამურზე მიმოსვლა. ჩინელი ჯარების მოქმედებაში ადგილობრივი მცხოვრებნი მონაწილეობას არ იღებდნენ.

ბ-ნმა ფონ-ბრანდტმა, გერმანიის ყოფილმა ელჩმა პეკინში, რომელიც ეხლა პეტერბურგში იმყოფება, შემდეგი აზრი გამოსთქვა ჩინეთის არეულობის შესახებ: «კიაო-ჩაოს გერმანელებისაგან დაპყრობა სრულებით არ არის ეხლანდელი არეულობის უახლოესი მიზეზი, როგორც ამას ბევრი ევროპის გაზეთები ამბობენ. სანამ გერმანიელნი კიაო-ჩაოში ჩავიდოდნენ, ფრანგებს, ინგლისელებს და რუსებს დიდძალი ადგილები ეჭირათ ჩინეთში». ეხლანდელი არეულობის ბრალის დიდი ნაწილი, ბრანდტის აზრით, ინგლისის, საფრანგეთის და ცოტათი გერმანიის ჟურნალ-გაზეთობას ედება. «რამდენიმე წლის განმავლობაში ევროპიელი გაზეთები სულ ჩინეთის განაწილებაზე და ეხლანდელ დინასტიის ტახტის გადაგდებაზე ლაპარაკობენ. ევროპის პრესსის მეთაურებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ჩინელებს მობეზრდებათ მათი სამშობლოს ეგრე აბუჩად აგდება. ტყუილი ფიქრია, ვითომც პეკინში არ იცოდნენ, თუ რას სწერენ ჩინეთზე ევროპაში. ყოველი ჩინეთის ელჩი თავის მოვალეობად სთვლის ყველაფერი დაწვრილებით შეატყობინოს თავის მართებლობას.

შეიძლება ევროპიელ ელჩებმაც ჩაიდინეს ისეთი რამ, რაც შეურაცხყოფად მიიღეს ჩინელებმა.

«საზოგადოდ, სთქვა ბრანდტმა,— ჩვენთვის ბევრი რამ გაუგებარი რჩება აზიელთა მოძრაობაში და აჯანყებაში. ისინი ყოველთვის მოულოდნელნი იყვნენ ჩვენთვის, ჩვენ ყოველთვის მოუმზადებელნი გვიფილვართ». შემდეგ ბრანდტი შეეხო გერმანიისა და რუსეთის დამოკიდებულებას შორს აღმოსავლეთში და სთქვა, რომ გერმანია 1895 წლიდან იქ რუსეთის მოკავშირე არისო. «გერმანიას კარგად ესმის, რომ რუსეთის გავლენა და მდგომარეობა ჩინეთში სხვა სახელმწიფოებისაზე დიდი უნდა იყოს, რადგანაც ერთობ დიდ მანძილზე მოსაზღვრე სახელმწიფოები არიან». გერმანიას სრულებით არა აქვს განზრახვა თავის ინტერესებისათვის ამუშაოს რუსეთი; გერმანიის ინტერესები ჩინეთში იმდენად საყურადღებონი არიან, რომ იგი არავითარ მსხვერპლს არ შეუშინდებაო.

# ახალი ამბავი

✦ ორშაბათს, 17 ივლისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა კრება ტფილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა განსახილველად **ასოთ-ამწყობთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების** წესდების პროექტისა. კრებამ მოიწონა წესდება და დაადგინა დაჰბეჭდოს იგი ასოთ-ამწყობთათვის დასარიგებლად. შემდეგ მოიწვიოს თვით ასოთ-ამწყობები და ამათგან გასინჯვის შემდეგ წარადგინოს იგი დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს.

წესდება შედგენილია სარატოვისა და პეტერბურგის ასოთ-ამწყობთა საზოგადოების წესდებათა მიხედვით. მოგვყავს აქ ზოგიერთი მუხლი: ტფილისის ასოთ-ამწყობთა საზოგადოებას საგნად ექნება ხელი შეუწყოს თავის წევრების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას. ამ საგნის განხორციელებისათვის საზოგადოება 1) აღმოუჩენს თავის წევრთ დროებით და მუდმივ შემწეობას ფულით და მისცემს მათ სესხს; 2) შეანახვინებს მათ ფულს; 3) მოუპოვებს უსაქმურთ სამუშაოს; 4) აღმოუჩენს ავადმყოფ წევრთ საექიმო დახმარებას; 5) ყოველგვარ მზრუნველობას აღმოუჩენს მოხუცებულ ასოთ-ამწყობთ; 6) პენსიას და შემწეობას მისცემს გარდაცვალებულ ასოთ-ამწყობთა ქვრივებს და ობლებს და დავრდომილ ასოთ-ამწყობთ; 7) ავრცელებს წევრთა შორის სასარგებლო საზოგადო და სპეციალურ ცოდნას სკოლების და გამოფენათა გამართვით, ლექციების წაკითხვით, ბიბლიოთეკების დაარსებით და სხვა; 8) დააარსებს სტამბებს და მომხმარებელ დაწესებულებებს; 9) ხელს უწყობს წევრთა შორის მომხდარ უსიამოვნებათა მოსპობას. საზოგადოების ნამდვილ წევრებად იქნებიან: ასოთ-ამწყობნი, გრავიორები, ლიტოგრაფიის ხელოსნები, ასოს-ჩამომსხმელნი, მაშინისტები, მბეჭდავები, მკაზმავები და საზოგადოთ სტამბაში მომუშავენი. ამ წევრებს ექნებათ ყველა უფლებანი როგორც მართვა-გამგეობისა, ისე შემწეობა—პენსიების მიღებისა. საშუალება საზოგადოებისა შესდგება წევრთა გადასახადით, შემოწირულებით, ბალების, კონცერტების და წარმოდგენების გამართვით, თანხების სარგებლით და სხვა. ნამდვილმა წევრმა უნდა შემოიტანოს საზოგადოების კასსაში საზოგადოებაში ჩარიცხვის დროს 6% თვიურ ჯამაგირისა, ხოლო ყოველ-თვიურად 3% თვიურ ჯამაგირისა. გარდა ნამდვილ წევრებისა საზოგადოებაში მიღებულ იქმნებიან საპატიო და დამხმარებელი წევრები; პირველებმა უნდა შესწირონ საზოგადოებას არა ნაკლებ 300 მანათისა, ხოლო დამხმარებლებმა ყოველწლივ ხუთ-ხუთი მანათი ან ერთბაშად 100 მანათი. საპატიო წევრთ და დამხმარებელთ საზოგადო კრებებზე მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება აქვთ და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. საზოგადოებას განაგებს გამგეობა, ზედამხედველი კომიტეტი და საზოგადო კრება. გამგეობაში და კომიტეტში მარტო სტამბებში მომუშავენი აირჩევიან.

✦ ფინანსთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგება იმ წესების შემუშავებას, რომელთა მიხედვით სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებთან დაარსებული იქმნება **საურთიერთო დამხმარებელი კასსები** ამ დაწესებულებებში მოსამსახურეთა და მუშათათვის.

✦ რადგანაც დიდ ქალაქების **საშუალო სკოლებში** ერთობ ბევრი მოსწავლეა და ხშირად თვითოეული ამგვარი სკოლა თავისი პარალელური განყოფილებებით ერთ შენობაში მოთავსებულ ორ სკოლას წარმოადგენს, რაიცა ცუდად მოქმედებს როგორც მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, ისე მათ შორის დისციპლინის დამყარებაზედაც, საერო განათლების სამინისტრო შეეკითხა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს — ემჯობინება თუ არა ამგვარ შემთხვევებში ახალი საშუალო სკოლის გახსნა იმის მაგიერ, რომ არსებულს პარალელური განყოფილებები მოემატოს.

✦ მოსკოვისა და კიევის **სამხედრო სკოლებში** არა სამხედრო პირთა შვილები მიიღებიან შემდეგის წესით: უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულნი მიიღებიან უეგზამენოდ მეორე კურსზე, საშუალო განათლების ახალგაზდანიკი (ასაკით არა ნაკლებ 17 წლისა)—პირველ კურსზე. თხოვნების გაგზავნა შეიძლება 15 ივლისიდან 25 აგვისტომდე. სამხედრო სკოლებში კურს-დამთარებულნი მაშინვე აფიცრობას მიიღებენ.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს უკანონოდ უცვნია ქალაქის გამგეობისაგან დამოუნის ადგილზე გადასახადის გაწერა.

✦ როგორც ისმის, კავკასიის აქეთ მხრის **რკინის გზას კომერციული განყოფილება** გადაკეთებულ იქნება სულ სხვა საფუძველზე. ამასთანავე მოსამსახურეთა რიცხვი გადიდებულ იქნება.

✦ როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, გზათა სამინისტრო შესდგომია მგზავრების გაცარცვისაგან დაფარვის ღონის ძიებათა შემუშავებას.

✦ **უწმინდესი სინოდის სტატისტიკურ განყოფილებასთან** დაარსებული იქნება მუზეუმის დაგვარი განყოფილება, სადაც შეკრებილი იქნებიან რუქები სასულიერო აკადემიების, სემინარიების, სასულიერო და სამრევლო სკოლების მდგომარეობის გამომხატველნი, სტატისტიკური გამოცემანი, ცნობები სამრევლო სკოლების ზრდისა ძგანვითარების შესახებ, სასკოლო შენობათა პლანები, სახელმძღვანელოები და სამოსწავლო ნივთები.

✦ რკინის გზების სამმართველოში ირჩევა ეხლა კითხვა შესახებ **რკინის გზებზე მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატებისა** კარგის სამსახურისათვის.

✦ ხელოსანთა კრებას, 17 ივლისს, აურჩევია **სარევიზიო კო-**

მასიის წევრებად: კარაბი. ს. ფანიაშვილი, გრეტპინგერი, მიკირტუმოვი და რეგერი. ამათ უნდა გამოიძიონ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისის სახელოსნოს ანგარიშების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ბ-ნი სეროზიანცი ხელოსანთა თავია.

◆ კისლოვოდსკში ხმა დადის თურმე ახალი ნარზანის წყაროს აღმოჩენის შესახებ 40 ვერსზე სოფლიდან. ჯერ არ იციან, თუ რამდენად მართალია ეს ხმა.

◆ 19 ივლისიდან ქალაქის ყველა თვითმმართველობათ ნება ეძლევათ მისცენ ცოფიანი ძაღლებით დაკბენილებს მოწმობა, რომლის მიხედვით მათა და მათ მხლებლებს რკინის გზის მმართველობამ შეღავათიანი ბილეთები უნდა მისცეს.

◆ საბჭოს კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ნატახტარის წყაროების გამოკვლევა 20 ივლისს, ხუთშაბათს, მიდის ნატახტარში.

◆ იუსტიციის სამინისტროს, სამოსამართლო დაწესებულებათ გაერთიანებისა და გაერთგვარებისათვის განუზრახავს არსებულ **კომერციული სასამართლოების მოსპობა** და ვაჭართა საქმეების ჩვეულებრივ სასამართლოებისათვის გადაცემა.

◆ ქუთაისიდან გაზ. «ივერიას» სწერენ: «12 ივლისს, ქუთაისის მახლობლად, პატარა მდინარე რუის ნაპირზე, საშინელი და საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ვიღაც სვანიძეს მოუკლავს თავისი ცოლი. როგორც აქ ლაპარაკობენ, ქალი კარგა ხანია მოშორებია ქმარს და ბაქოში უცხოვრია. ქმარს ამ ერთი კვირის წინად ცოლი დაუბარებია, ვითომ ავადმყოფის შვილის სანახავად, რომელიც მამის ოჯახში ყოფილა. როცა ქუთაისს გასცილებიან და სოფელს მიახლოვებულან, ქმარს გზაზე, ერთის კლდის მახლობლად, ცოლისათვის თავში ხანჯალი დაუკრავს და შემდეგ ამ კლდეზე გადაუგდია, რომ კლდეში ჩაეკლა. მაგრამ ქალი რაღაც სასწაულით ცოცხალი გადარჩენილა. ეს რომ გამხეცებულ ქმარს შეუნიშნავს, გამოჰკიდებია და კლდეში დასწევია; აქ რუის ნაპირზე სასტიკად და შეუბრალებლად უწვალებია: ჯერ ცხვირი მოუჭრია ქალისათვის, შემდეგ ყურები, მერე თმით უთრევია და თან ხანჯლით უკეპნია, ვიდრე ქალს სიცოცხლის ნიშნები კიდევ ჰქონია. ბოლოს ქმარს თვითონ გამოუცხადებია პოლიციისთვის, რომ ყველაფერი ეს მე ჩავიდინეო. მკვლელი პოლიციას შეუპყრია და გამოძიება სწარმოებს. აქაური საზოგადოება საშინლად არის აღშფოთებული ამ საზიზღარის მკვლელობით.

◆ «ივერიას» სწერენ ს. დიმიდან (ქუთაისის მაზრა). «ამ სოფლის მცხოვრებს, აზ. აგაბო ჩინჩალაძეს, პირველ ივლისს მუშები ჰყავდა სიმინდის დასამუშავებლად; მოგეხსენებათ, იმერეთში ჩვეულებად აქვთ მუშას კარგი მასპინძლობა გაუწიონ. ჩინჩალაძესაც არ დაურღვევია ეს ძველი ჩვეულება და თავის მუშებისათვის კარგი ვახშამი დაემზადებინა. სტუმრები და ოჯახში მყოფნი მხიარულად შექცეოდნენ თურმე ვახშამს და მრავალ ყამირის ღიღინით სადღეგრძელოებს მიირთმევდნენ. როცა კარგად შეზარხოშდნენ, მასპინძელმა, აგაბო ჩინჩალაძემ, საუბედუროდ, კედლიდან თოფი ჩამოიღო და სინჯვა დაუწყო. თოფი გატენილი ყოფილიყო, მოულოდნელად დაეცალა ხელში და იქვე მდგომს თავისს ბიცოლას მოჰხვდა ტყვია მკლავში. დაჭრილი იმ დღესვე ბ-ნ სამსონ თოფურიას სავადმყოფოში წაიყვანეს ქუთაისში; იმედია, სიკვდილს გადაარჩენენ, მაგრამ მკლავი კი სამუდამოდ დაუშავდება.

სიამოვნებით ვკითხულობთ გაზეთებში სხვა და სხვა მხრიდან მოწერილს ამბავს, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს, კარგი გამოსავალი აქვსო. იმერეთშიაც იმედი გვაქვს კარგის მოსავლისა. ცოტა არ იყოს, მინდვრის ყანების დამუშავება დაგვიანდა ხშირი წვიმებისა გამო, თორემ სხვაფრივ არა უშავს-რა. სოფლის მეურნეთ სიმინდის ყანების დამუშავება ძრიელ გაუძნელდათ, რადგანაც დღიურის მუშის ქირამ ძრიელ იმატა. ჯერ-ჯერობით სიმინდის მთოხნელის დღიური ქირა ოთხი აბაზიდან ოთხ აბაზ უზალთუნამდე ავიდა. ხარჯიც დამქირავებელისაა. მუშის ასეთის სიძვირისა გამო ბევრს ალაგას სიმინდის ყანები ჯერ გაუთოხნელია.

წარსულ კვირაში სამს დღეს კაგე იმერეთში აღმოსავლეთის ცხელი ქარი ჰქროდა, რომელმაც ზოგიერთი ადრეული ნათესი სიმინდი დააზარალა. დააზარალა აგრეთვე აქა-იქ ყანები და ნორჩი ნაზარდი ვაზის ყლორტები. ვენახის სნეულებამ ჭრაქმა და ნაცარმა შესამჩნევად იჩინა თავი.

# საღამოს დეპეშები

**18 ივლისი**

**ტიანცზინი.** სამმა რუსის როტამ სროლა დაუწყო ჩინელების პეიტანის ბანაკს. რუსებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

**ჩიფუ.** შანდუნის გუბერნატორმა 8 ივლისს გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც გადმოცემულია ჩინეთის იმპერატორის 28 ივნისის ბრძანების შინაარსი: „ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ იხოჩუანების (მოკრივეების) მილიცია აჯობებდა მტერს და დაგვეხმარებოდა და მოსალოდნელ ხიფათს თავიდგან აგვაცდენდა ნამდვილად კი ამ სახელის მატარებლებმა ცარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. ამიტომ საჭიროა განირჩეოდნენ ნამდვილი იხოჩუანები არა ნამდვილთაგან. გუბერნატორი თავის მხრივ უმატებს, რომ ტიანცზინი და პეკინი დიდ-განსაცდელში არიან და იხოჩუანები ჩრდილოეთისაკენ უნდა წავიდნენ.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 | გ. | 8½ კ. |
| სუკი . . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | 8½ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| » » | II | » | » | 3½ » |
| » » | III | » | » | 3 » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | 3½ » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » | » | 6 » |
| » » | II | » | » | 4 » |

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდანზე: | | | | ვოგზალზე, |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | | მ. | კ. | მ. კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბა-

ქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 მორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ., ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან მორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; მორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 მორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან მორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; მორაპანში დი სღამ. 1 ს.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით მიმდინარე წლის 24 ივლისს, დილის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა შემდეგ საგნებზედ: საჭიროა ალექსანდრევის ბაღის ღობის განახლება (ქვის კედლების და სამირკველის შეკეთება), კოლონნების დადგმა, რკინის ხრახნილების რკინისავე ულებით დაკავშირება და მოაჯირების შეღებვა—სულ 3000 მანეთის საქმე.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმაშენებელი განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე (ნ. 3—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი აყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

## დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ

გამოცემა

**საჩინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პოკვდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტე | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| | ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| | იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. ბ. გუნია.